2236/3-53/22 2 14032022

2236/3-53/22
14-03-2022

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს

გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ იმ დოკუმენტების ასლები, რომლის საფუძველზეც 2022 წლის 13 მარტს მიხეილ სააკაშვილი გადაყვანილ იქნა რესპუბლიკურ საავადმყოფოში გამოკვლევების ჩასატარებლად.

კერძოდ, მიხეილს სააკაშვილის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გამოკვლევების ჩასატარებლად გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების ასლი და იმ ექიმების რეკომენდაცია რის საფუძველზეც მოხდა მისი გადაყვანა.

გთხოვთ ასევე, დააზუსტოთ თუ რა სახის გამოკვლევები ჩაუტარდა მიხეილ სააკაშვილს და მომაწოდოთ ამ გამოკვლევების შედეგად შექმნილი სამედიცინო დასკვნები.

გთხოვთ, კონფიდენციალური ინფორმაცია გამოაგზავნოთ პარლამენტის წევრის პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. შესაბამისად, კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც პარლამენტის წევრისთვის ცნობილი გახდება, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^3 მუხლის საფუძველზე, პროფესიულ საიდუმლოების ნაწილს დაექვემდებარება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge

KA010127401347022

№5257

27 / აპრილი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

თქვენი № 2236/3-53/22 მომართვის პასუხად დანართის სახით გეგზავნებათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

დანართი:

№1 – 2022 წლის 18 აპრილის №110602/01 წერილი;

№2 – 2022 წლის 14 მარტის №01/73080 პატაკი;

№3 – 2022 წლის 14 მარტის №4896 ბრძანება

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

რატი ბრეგაძე